



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE - JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 10 " 21 " 11 2019წ.

დადგენილება № 57

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შეწყდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელება.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება ჩაბარდეს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე